თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2024 წლის 27 სექტემბრის სხდომის

ო ქ მ ი N 2

2024 წლის 27 სექტემბერს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **გიორგი ჭეიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი, მარიამ ჩხარტიშვილი, ვახტანგ გოილაძე, ეკა კვაჭანტირაძე, ავთანდილ სონღულაშვილი, ელდარ ბუბუბლაშვილი, ვაჟა კიკნაძე, ალექსანდრე დაუშვილი, ქეთევან ხუციშვილი, ნინო მინდაძე, როლანდ თოფჩიშვილი, სალომე ოქრუაშვილი, ლიანა ბითაძე.** საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი (დანართი 1).

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ ელექტრონულად გაგზავნილი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილებაში მთავარი მეცნიერი თანამშრომლის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის კომისიის შექმნა;
2. ინსტიტუტის 2024 წლის სამეცნიერო საქმიანობის შუალედური ანგარიში;
3. ინსტიტუტის მომავალი ხუთწლიანი (2025-2029 წწ.) სამეცნიერო საქმიანობის გეგმის შემუშავება.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილებაში მთავარი მეცნიერი თანამშრომელის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის კომისიის შექმნა.

ლავრენტი ჯანიაშვილმა სამეცნიერო საბჭოს წარუდგინა, ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილებაში მთავარი მეცნიერი თანამშრომელის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის კომისიის წევრთა კანდიდატურები:

გოდერძი ნარიმანიშვილი – საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტის ისტორია-არქეოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

ალექსანდრე ნონეშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური

საბჭოს წევრი, პროფესორი, ისტორიის აკადემიური დოქტორი;
ირინე ტატიშვილი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასირიოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** გიორგი ჭეიშვილმა, ლიანა ბითაძემ, როლანდ თოფჩიშვილმა, ვაჟა კიკნაძემ და სხვა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: მომხრე - 14 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: შეიქმნას სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილებაში მთავარი მეცნიერი თანამშრომლის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით.

ლავრენტი ჯანიაშვილმა კომისიის თავმდომარედ წამოაყენა გოდერძი ნარიმანიშვილის კანდიდატურა; კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ - ალექსანდრე ნონეშვილის კანდიდატურა; კომისიის მდივნად - ირინე ტატიშვილის კანდიდატურა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: მომხრე - 14 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას გოდერძი ნარიმანიშვილი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ - ალექსანდრე ნონეშვილი, კომისიის მდივნად - ირინე ტატიშვილი.

მოისმინეს:

2. ინსტიტუტის 2024 წლის სამეცნიერო საქმიანობის შუალედური ანგარიში.

ლავრენტი ჯანიაშვილის თხოვნით, განყოფილებების ხელმძღვანელებმა სხდომას მოახსენეს, თუ რა ეტაპზეა ხუთწლიანი სამეცნიერო პროექტის დასასრულებლად მიმდინარე სამეცნიერო საქმიანობა და ასევე, განყოფილებების კრებულების გამოსაცემად მომზადების პროცესი.

როლანდ თოფჩიშვილი: ხუთწლიანი სამეცნიერო პროეტის ბოლო ეტაპზე, თემის: „ქართველი ხალხის ეთნო-კულტურული ურთიერთობები ისტორიული ალბანეთისა და თანამედროვე აზერბაიჯანის მოსახლეობასთან," შესასრულებლად სასურველი იყო სამეცნიერო მივლინება საინგილოში, რომელიც სამწუხაროდ ვერ განხორციელდა. კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილებამ პროექტის ფარგლებში, მიმდინარე წელს, მოაწყო საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიცია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ასევე,

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროში. შეგროვებული მასალა მუშავდება და გამოყენებული იქნება წლიურ ნაშრომებში. განყოფილების კრებულის გამოსაცემად მომზადება დასკვნით ეტაპზეა, იქნება დაახლოებით, 300 გვერდი და მასში დაიბეჭდება თანამშრომელთა მიერ 2023 წელს შესრულებული წლიური ნაშრომები.

ავთანდილ სონღულაშვილი: მიმდინარე წელს, პროექტის დასკვნით ეტაპზე ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების თანამშრომლებმა უნდა წარმოადგინონ გასული ოთხი წლის მანძილზე შესრულებული თავიანთი წლიური თემების შემაჯამებელი ნაშრომები, დაახლოებით 15-20 გვერდის ოდენობით; უნდა მოხდეს ამ ნაშრომების რედაქტირება და მომზადება გამოსაცემად. აღნიშნული სამუშაო მიმდინარეობს და დასრულდება წლის ბოლოსთვის. ასევე, განყოფილების კრებულის მორიგი ნომრის სარედაქციო სამუშაოები დასრულებულია. სხვა სტატებთან ერთად, მასში დაიბეჭდება ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების ორგანიზებით, ა/წ 20 სექტემბერს ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი 10 მოხსენება, რომელთა თემატიკა ეძღვნება 1924 წლის აჯანყების 100 წლისთავს.

მარიამ ჩხარტიშვილი: პროექტის ბოლო ეტაპზე, მიმდინარე წელს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების თანამშრომლებმა უნდა წარმოადგინონ გასული ოთხი წლის მანძილზე შესრულებული თავიანთი წლიური თემების შემაჯამებელი ნაშრომები. უნდა მომზადდეს კოლექტიური მონოგრაფიის/კრებულის - *„საქართველოს საზღვრები შუა საუკუნეებში“* - დასაბეჭდი ვერსია; სამუშაო მიმდინარეობს და დასრულდება წლის ბოლოსთვის. განყოფილების კრებული წელს ERIH+ ბაზაში ჩაერთო, მიმდინარეობს მორიგი ნომრის მომზადება, რომელიშიც დაიბეჭდება გასულ წელს განყოფილების ორგანიზებით ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები.

ქეთევან ხუციშვილი: საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების თანამშრომლები მუშაობენ შემაჯამებელ ნაშრომებზე, რომ მათი ოთხი წლის თემები ერთიანი სახით იყოს წარმოდგენილი. განყოფილების კრებული მზადების პროცესშია და მასში დაიბეჭდება სტატიები, რომლებზეც პარალელურად მუშაობენ განყოფილების წევრები. წელს თანამშრომლებს აქვთ ნაბეჭდი პროდუქცია, გამოიცა მონოგრაფიები, მონაწილეობდნენ სამეცნიერო ფორუმებში.

ლიანა ბითაძე: ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის თანამშრომლები მუშოაბენ წლიურ თემებზე, სტატიები აქვთ გამოქვეყნებული უცხოურ და ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში; მუშაობენ საგრატო პროექტებზე; უცხოელ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ ექსპედიციებში და სამეცნიერო ფორუმებში.

ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების შუალედური ანგარიში წარმოადგინა დირექტორის მოადგილემ - ვალერიან ვაშაკიძემ. მან აღნიშნა, რომ გასული წლების გეგმით გათვალისწინებული ნაშრომები ყველა თანამშრომელმა წარმოადგინა და ახლა,

პროექტის დასკვნითი ეტაპის შესაბამისად, მიმდინარეობს მუშაობა შემაჯამებელ ნაშრომზე.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** ლიანა ბითაძემ, ალექსანდრე დაუშვილმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა, ელდარ ბუბულაშვილმა, გიორგი ჭეიშვილმა, ავთანდილ სონღულაშვილმა და სხვა.

გამოითქვა მოსაზრება, რომ განყოფილებების კრებულების საბოლოო ვერსიების წარმოსადგენად განისაზღვროს 20 ოქტომბერი, რათა მათ დასაბეჭდად დროულად გამოცხადდეს ტენდერი.

მოისმინეს:

3. ინსტიტუტის მომავალი ხუთწლიანი (2025-2029 წწ.) სამეცნიერო საქმიანობის გეგმის შემუშავება.

გიორგი ჭეიშვილი: მიმდინარე წლის ბოლოს ინსტიტუტმა დასამტკიცებლად უნდა წარადგინოს მომავალი ხუთწლიანი საქმიანობის გეგმა. სასურველია, განყოფილებები შეჯერდნენ ერთ ან ორ პროექტზე, რომელიც ყველასთვის იქნება მისაღები.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** როლანდ თოფჩიშვილმა, ქეთევან ხუციშვილმა, ნინო მინდაძემ, ლიანა ბითაძემ, მარიამ ჩხარტიშვილმა, ეკა კვაჭანტირაძემ და სხვა.

გამოითქვა მოსაზრებები, რომ ეთნოლოგიის მიმართულებების განყოფილებებმა მონაწილეობა მიიღონ ინსტიტუტის ისტორიულ და ეთნოლოგიურ არქივში არსებული დაუმუშავებელი საარქივო ფონდების დამუშავებაში, მოხდეს ძველი მასალისა და იგივე რეგიონებში ახლად მოპოვებულ საველე-ეთნოგრაფიულ მასალის დიაქრონიული შედარებითი ანალიზი, რის საფუძველზეც შეიქმნება და გამოიცემა სამეცნიერო ნაშრომები; მომავალი ხუთწლიანი პროექტის ფარგლებში დამუშავდეს თემები: გენდერი და საზოგადოება; სოციალური ვითარება უძველესი დროიდან დღემდე ან დაისახოს საერთო ინსტიტუციური მიმართულება, რომელიც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იქნება.

ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ უმჯობესია, განყოფილებებმა აირჩიონ თემატიკა, შეიმუშავონ მომავალი ხუთწლიანი სამეცნიერო საქმიანობის გეგმა და წარმოადგინონ სამეცნიერო საბჭოს მომავალ სხდომაზე.

სხდომამ დაადგინა:

1. **შეიქმნას სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი**

ქვეყნების ისტორიის განყოფილებაში მთავარი მეცნიერი თანამშრომლის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

გოდერძი ნარიმანიშვილი – კომისიის თავმჯდომარე - საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტის ისტორია-არქეოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

ალექსანდრე ნონეშვილი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, პროფესორი, ისტორიის აკადემიური დოქტორი;

ირინე ტატიშვილი - კომისიის მდივანი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასირიოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

და ეცნობოს თსუ-ს ადმინისტრაციას შემდგომი მსვლელობისათვის.

2. **განყოფილებებმა აირჩიონ თემატიკა, შეიმუშავონ მომავალი ხუთწლიანი სამეცნიერო საქმიანობის გეგმა და წარმოადგინონ სამეცნიერო საბჭოს მომავალ სხდომაზე.**

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: **ლავრენტი ჯანიაშვილი**

სამეცნიერო საბჭოს მდივანი: **ლიანა ბითაძე**

27. 09. 2024

დანართი 1

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2024 წლის 27 სექტემბრის სხდომას ესწრებოდნენ
მთავარი მეცნიერი თანამშრომლები:

- გიორგი ჭეიშვილი
- ლევან გორდეზიანი
- მარიამ ჩხარტიშვილი
- ავთანდილ სონღულაშვილი
- ქეთევან ხუციშვილი
- როლანდ თოფჩიშვილი
- ლიანა ბითაძე
- ვახტანგ გოილაძე
- ეკა კვაჭანტირაძე
- ვაჟა კიკნაძე
- ალექსანდრე დაუშვილი
- ელდარ ზუბულაშვილი
- ნიკოლოზ ჯავახიშვილი
- ნინო მინდაძე
- ხათუნა იოსელიანი
- სალომე ოქრუაშვილი
- ლავრენტი ჯანიაშვილი